ჟან მონეს მოდული
„ევროპული და შედარებითი კონკურენციის სამართალი და პოლიტიკა“

<u>მეორე იმიტირებული სასამართლო პროცესი კონკურენციის სამართალში</u>

(20-21 დეკემბერი 2025)

კაზუსი

*გთხოვთ, მიმდინარე წლის **7 დეკემბრის ჩათვლით,** წერილობით წარმოადგინოთ თქვენი პოზიცია ქვემოთ მოცემულ საქმეზე.*

*პოზიცია უნდა ჩამოყალიბდეს **ორ განცალკევებულ დოკუმენტად - მოსარჩენის პერსპექტივიდან და მოპასუხის პერსპექტივიდან გამომდინარე. თითოეული პოზიცია უნდა ჩამოყალიბდეს 4000-5000 სიტყვის ფარგლებში, საქართველოსა და ევროკავშირის პრაქტიკის გამოყენებით.***

*პოზიციაში მოცემული უნდა იყოს გუნდის მსჯელობა კაზუსის ბოლოს მოცემულ **ყველა შეკითხვასთან დაკავშირებით.***

წარმატებებს გისურვებთ!

სს „დიჯითალ ევოლუშენი“ ქართული ონლაინ კომპანიაა, რომელმაც კოვიდ პანდემიის პირობებში სწრაფად მოიპოვა პოპულარულობა საკუთარი ინოვაციური ონლაინ მომსახურებების წყალობით. კომპანიამ საფუძველი ჩაუყარა პირველ ქართულ ონლაინ პლატფორმას „კალეიდოსკოპი“, რომელიც ერთ ციფრულ სივრცეში იძლევა სხვადასხვა მომსახურებების მიღების საშუალებას. ფუნქციურად,

„კალეიდოსკოპი“ წარმოადგენს მობილური ტელეფონებისთვის შექმნილ საოპერაციო სისტემას, რომლის მეშვეობითაც შეიძლება ქართველ მომხმარებელზე მორგებული მთელი რიგი აპლიკაციების (ნავიგაციის სისტემა, შოპინგ-აპები, უფასო ტრენინგ-კურსები, ტაქსით მომსახურების აპლიკაცია და ა.შ.) ჩამოტვირთვა და მათით სარგებლობა.

გამომდინარე იქიდან, რომ სს „დიჯითალ ევოლუშენი“ სპეციალურად ქართველ მომხმარებლებზე მორგებული სისტემის აწყობაზე ზრუნავს, ის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მის ზოგად პოლიტიკასთან თანხვედრაში მყოფ აპლიკაციებთან თანამშრომლობას. კერძოდ, მართალია მის „კალეიდოსკოპის“ სისტემაში დამატებული აპლიკაციის შემქმნელები დამოუკიდებელი სტარტაპები არიან, მაგრამ სს „დიჯითალ ევოლუშენთან“ ურთიერთობისთვის ამ უკანასკნელებს უწევთ რიგ პირობებზე დათანხმება. ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ „კალეიდოსკოპის“ სისტემაში არსებული აპლიკაციები ან ექსკლუზიურად ქართული ბაზრებისთვის მუშაობს, ან ისინი უკეთესადაა მორგებული ქართველი მომხმარებლის ინტერესებსა და სურვილებზე, ვიდრე მათი საერთაშორისო ანალოგები.

მსგავსი პოლიტიკის შედეგად, „კალეიდოსკოპის“ სისტემა საქართველოში ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გაცილებით უფრო პოპულარული გახდა, ვიდრე Apple-ისა და Android-ის მობილური სისტემები. ამან საშუალება მისცა სს „დიჯითალ ევოლუშენს“, ხელშეკრულებები გაეფორმებინა რიგ წამყვან მობილურ კომპანიებთან (მათ შორისაა ნოკია, მოტოროლა, სონი და ვივო). შედეგად, 2025 წლის დასაწყისში, საქართველოში გაყიდული მობილური ტელეფონების 45%-ს სწორედ „კალეიდოსკოპის“ სისტემით მუშაობდა.

2025 წლიდან იანვრიდან, სს „დიჯითალ ევოლუშენმა“ მომხმარებლებს შესთავაზა ახალი მომსახურება, რომლის მეშვეობითაც მათ მობილურებში არსებული „კალეიდოსკოპის“ სისტემის ნაწილობრივი გამოყენება ახლა უკვე შესაძლებელია ავტომობილების საინფორმაციო-გასართობი სისტემის [1] ციფერბლატზე. ხსენებულ სისტემას ეწოდება „ავტო-კალეიდოსკოპი“. მისი მეშვეობით, „კალეიდოსკოპის“ სისტემიანი მობილურები ტელეფონების მომხმარებლებს ახლა უკვე შეუძლიათ აპლიკაციებზე წვდომა საკუთარი ავტომობილის ციფერბლატიდან, მანქანის ტარების დროს, მობილურის გამოუყენებლად. მსგავს სისტემას ამ ეტაპზე საქართველოში Android-იც სთავაზობს საკუთარ მომხმარებელს, თუმცა „ავტო-კალეიდოსკოპის“ ფარგლებში შეთავაზებული აპლიკაციების რაოდენობისა და ფუნქციური მრავალფეროვნების გათვალისწინებით, ეს უკანასკნელი გაცილებით უფრო მიმზიდველია მომხმარებლისთვის, ვიდრე Android Auto სისტემა. შედეგად, ხსენებულმა სიახლემ 2025 წლის პირველ კვარტალში 10%-ით გაზარდა „კალეიდოსკოპის“ სისტემის მქონე მობილური ტელეფონების გაყიდვები.

მომხმარებლის უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, სს „დიჯითალ ევოლუშენმა“ თავიდანვე განსაზღვრა, რომ „კალეიდოსკოპში“ არსებული მხოლოდ რიგი აპლიკაციებით სარგებლობა შეიძლება „ავტო-კალეიდოსკოპის“ სისტემაში. მაგალითად, თამაშების აპლიკაციები „ავტო-კალეიდოსკოპის“ სისტემაში დაშვებული არაა, რადგან მომხმარებელმა მანქანის ტარების პარალელურად მათი გამოყენება არ სცადოს, ყურადღება არ გაეფანტოს და არ შექმნას საავარიო სიტუაცია. ამავდროულად, „ავტო-კალეიდოსკოპის“ სისტემაში დაშვებულია მძღოლებისთვის საჭირო ისეთი აპლიკაციები, როგორებიცაა სს „დიჯითალ ევოლუშენის“ მიერ განვითარებული ნავიგაციის აპლიკაცია „ევოლუშენ მეფს“, ონლაინ გადახდის აპლიკაციები (მაგალითად, ავტოგასამართ სადგურებზე საწვავის შეძენისას) და მედია პლეერები მუსიკის მოსასმენად (ვიდეოს გარეშე).

სს „დიჯითალ ევოლუშენი“ „ავტო-კალეიდოსკოპის“ სისტემაში ახალ აპლიკაციებს ამატებს წინასწარი შემოწმების საფუძველზე, ამ უკანასკნელების სისტემისა და მომხმარებელთათვის უსაფრთხოებაში დარწმუნების შემდგომ. მაგალითად, 2025 წლის ივლისში მან უარი თქვა „ავტო-კალეიდოსკოპის“ სისტემაში აპლიკაცია „ქვითარი.ჯი“-ს დამატებაზე, რომელიც ითვალისწინებდა ბენზინგასამართ სადგურებზე მომსახურების მიღებისას შესაბამისი ელ-ქვითრის პირდაპირ „ავტო-კალეიდოსკოპის“

[1] ავტომანქანის საინფორმაციო გასართობი სისტემა ეწოდება სისტემას, რომელზე წვდომაც შესაძლებელია ავტომობილის საჭის პანელზე არსებული სპეციალური ეკრანის მეშვეობით. „ავტო-კალეიდოსკოპის“ სისტემიანი მობილური ტელეფონის ხსენებულ ეკრანთან შეერთებისას, მომხმარებელს ავტომობილის ეკრანის მეშვეობით წვდომა ეძლევა საკუთარი მობილურის მთელ რიგ აპლიკაციებზე - მაგალითად, მუსიკის აპებსა და სანავიგაციო სისტემაზე.

სისტემაში გადმოგზავნასა და შენახვას. უარის მიზეზი იყო ის, რომ მსგავსი ელ-ქვითრები რიგ სენსიტიურ ინფორმაციას შეიცავენ, ხოლო „ქვითარი.ჯი“-ს პროტოკოლი ვერ უზრუნველყოფდა „ავტო-კალეიდოსკოპის“ სისტემაში ელ-ქვითრების გადაგზავნისას სენსიტიური ინფორმაციის სრულ დაცვას ჰაკერებისგან. სს „დიჯითალ ევოლუშენი“ მსგავს რისკზე არ წავიდა, მიუხედავად „ქვითარი.ჯი“-ს მიერ შეთავაზებული მნიშვნელოვანი ანაზღაურებისა.

შემოწმების მსგავსი მკაცრი სისტემის არსებობის პირობებშიც კი, აპლიკაციებზე მომუშავე ყველა სტარტაპი დაინტერესებულია სს „დიჯითალ ევოლუშენთან“ ურთიერთობით და ამაში მნიშვნელოვანი ფინანსური სახსრების გაღებას არ ერიდებიან. მიზეზი ისაა, რომ ამ კომპანიასთან უთიერთობის შედეგად, სტარტაპების მიერ გამოგონებული აპლიკაციები წვდომას იღებენ „კალეიდოსკოპის“ სისტემის მომხმარებლებზე. შედეგად მიღებული ფინანსური სარგებელი მნიშვნელოვანწილად აღემატება სისტემაში დაშვების საფასურს. ამიტომ, ეს საფასური მომგებიან ინვესტიციად მიიჩნევა ქართველ აპ-დეველოპერებში. ეს განსაკუთრებით იმ დეველოპერებს ეხებათ, რომელთა მიერ შემუშავებული აპლიკაციები თვისებრივად ქართულ ბაზრებზეა მორგებული (მაგალითად, ქართული კვების ობიექტების მიერ ონლაინ-შეკვეთების მიღების მიზნით გაკეთებული მობილური აპლიკაციები).

„ავტო-კალეიდოსკოპის“ სისტემის ბრუნვაში ჩაშვების შემდგომ, არაერთმა სტარტაპმა გამოხატა სურვილი საკუთარი აპლიკაციის ხსენებულ სისტემაში დაშვების თაობაზე. სისტემის ხარისხიანი და უსაფრთხო მუშაობის გარანტირებისა და ამავდროულად, მომხმარებლის მაქსიმალურად დაკმაყოფილებისთვის, სს „დიჯითალ ევოლუშენი“ აქტიურად მუშაობს სხვადასხვა აპლიკაციების „ავტო-კალეიდოსკოპის“ სისტემაში ჩართვაზე.

ტექნიკური თვალსაზრისით, „კალეიდოსკოპისა“ და „ავტო-კალეიდოსკოპის“ სისტემები ე.წ. „რვაფეხას პრინციპით“ ფუნქციონირებს. კონკრეტულად, თავად ეს სისტემები წარმოადგენენ „რვაფეხას თავებს“, რომლებსაც აქვს „საცეცები“ სისტემაში არსებული სხვადასხვა აპლიკაციების „ჩასაბმელად“. ხსენებული საცეცები შესაძლებელია იყოს ორი სახის - ზოგადი და სპეციფიკური ბუნების. „საცეცი“ ზოგადი ბუნებისაა, თუ მისი გამოყენება გარკვეული ფუნქციის მატარებელი მთელი რიგი აპლიკაციების მისამაგრებლად შეიძლება. მაგალითად, ზოგადი ბუნების „საცეცია“ შექმნილი მედია პლეერებისთვის და ტაქსის გამოძახების აპლიკაციებისთვის. „საცეცი“ სპეციფიკური ბუნებისაა, თუ მისი შექმნა აუცილებელია რომელიმე კონკრეტული აპლიკაციისთვის, რომელსაც ფუნქციური ანალოგი არ მოეძებნება. მაგალითად, სპეციფიკური ბუნების „საცეცი“ შექმნილია საქართველოს საჯარო რეესტრის მიერ ოპერირებადი აპლიკაციისთვის, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია რეესტრის მომსახურებებზე ონლაინ წვდომა მობილური ტელეფონიდან.

სს „დიჯითალ ევოლუშენი“ „ავტო-კალეიდოსკოპის“ სისტემისთვის ზოგადი ბუნების „საცეცებს“ თავიდანვე ქმნის - მაგალითად, სისტემაში შექმნილია „საცეცები“ მედია პლეერებისთვის. შესაბამისად, თუ „კალეიდოსკოპის“ სისტემაში არსებულ რომელიმე მედია პლეერს უნდა „ავტო-კალეიდოსკოპის“ სისტემაში ფუნქციონირების დაწყება, ამ უკანასკნელმა უნდა მიმართოს სს „დიჯითალ ევოლუშენს“ თხოვნით, რომ მისი მედია პლეერი „ავტო-კალეიდოსკოპის“ სისტემაში მედია პლეერებისთვის შემუშავებულ ზოგადი ბუნების „საცეცს“ „ჩაებას“. ხსენებული „ჩაბმის“ განსახორციელებლად, აპლიკაციის (მედია პლეერის) მფლობელი წერს სპეციალურ კოდს, რომლის მეშვეობითაც „საცეცზე“ წვდომა გაიხსნება კონკრეტული პლეერისთვის. კოდის წერისას, სს „დიჯითალ ევოლუშენის“ ჩართულობა საჭიროა ორი კუთხით: საწყის ეტაპზე „საცეცთან“ დაკავშირებული კონფიდენციალური ინფორმაციის გაზიარება ხდება კოდის დამწერ ორგანიზაციასთან, რომ ამ უკანასკნელმა სწორად შეძლოს კოდირების განხორციელება. დაწერის შემდგომ, კოდი სს „დიჯითალ ევოლუშენში“ გადის უსაფრთხოების შემოწმებას. თუ ორივე ეტაპი წარმატებით განხორციელდა, კოდს მიეცემა „ავტო-კალეიდოსკოპის“ სისტემაში ფუნქციონირების საშუალება. შედეგად, აპლიკაცია ხელმისაწვდომი გახდება ავტომობილის მომხმარებლისთვის.

რაც შეეხება სპეციფიკური ბუნების „საცეცებს“, მათი შექმნა კონკრეტული აპლიკაციის - მაგალითად, საჯარო რეესტრის სპეციალური აპლიკაციის - გამოგონების შემდეგ ხდება. მსგავსი საცეცების შემქნა ორეტაპიანი პროცესია. თავდაპირველად, აპლიკაციის შემქმნელები სს „დიჯითალ ევოლუშენს“ უზიარებენ ახალი აპლიკაციის შესახებ სენსიტიურ ინფორმაციას. ამ ინფორმაცის საფუძველზე, სს „დიჯითალ ევოლუშენი“ ქმნის ახალ „საცეცს“ - ანუ წერს შესაბამის კოდს. ამის შემდგომ, მიმდინარეობს

წინა პარაგრაფში აღწერილის იდენტური პროცესი ახალი აპლიკაციის სპეციფიკური ბუნების „საცეცზე“ „ჩასაბმელად“ (ანუ სს „დიჯითალ ევოლუშენი“ უზიარებს „საცეცის“ შესახებ ინფორმაციას აპლიკაციის შემქმნელს, ეს უკანასკნელი წერს „საცეცზე“ აპლიკაციის „ჩაბმისთვის“ საჭირო კოდს, კოდი გადის უსაფრთხოების შემოწმებას სს „დიჯითალ ევოლუშენში“ და ყველა ამ საფეხურის წარმატებით გავლის შემთხვევაში, ახალი აპლიკაცია ინტეგრირდება „ავტო-კალეიდოსკოპის“ სისტემაში).

როგორც ზემოთ აღწერილი პროცესიდან ჩანს, სპეციალური აპლიკაციების „ავტო-კალეიდოსკოპის“ სისტემაში ჩართვა გაცილებით უფრო რთული და შრომატევადი პროცესია, რადგან ის კოდირების ორმაგ სამუშაოს მოითხოვს. ამავდროულად, თუ ზოგადი ბუნების „საცეცის“ შექმნის შემდგომ მისი გამოყენება მრავალი აპლიკაციისთვის ხდება, სპეციფიკური ბუნების „საცეცი“, როგორც წესი, ერთი აპლიკაციისთვის გამოიყენება. შედეგად, მისი შექმნა გაცილებით უფრო ძვირი სიამოვნებაა და სს „დიჯითალ ევოლუშენიც“ გაცილებით უფრო მკაცრად ეკიდება მსგავსი პროცესის წამოწყების საქმეს. ამავდროულად, კომპანია მუდმივად ავითარებს საკუთარ ბაზაზე შექმნილ აპლიკაციებს და ცდილობს, რომ არ ჩამორჩეს სხვა სტარტაპებს მომხმარებლებისთვის სიახლეების შეთავაზებაში.

მიმდინარე წლის აპრილში სს „დიჯითალ ევოლუშენს“ დაუკავშირდა მისი პარტნიორი 2022 წლიდან, შპს „ბიბი ბისტრო“. შპს-მ პარტნიორს სთხოვა, მისი აპლიკაცია - „ბისტრო ბორბლებზე“ - რომელიც უკვე ფუნქციონირებს „კალეიდოსკოპში“, ასევე დაეშვა „ავტო-კალეიდოსკოპის“ სისტემაში.

„ბისტრო ბორბლებზე“ უნიკალური აპლიკაციაა ისეთი მომხმარებლებისთვის, რომლებსაც ლოდინის გარეშე სურთ საკუთარი საკვების მიღება „ბიბი ბისტროს“ ფილიალებიდან. „კალეიდოსკოპში“ არსებული აპლიკაცია საშუალებას აძლევს მომხმარებლებს, დისტანციურად აირჩიოს „ბიბი ბისტროს“ თბილისის სასურველი ფილიალი, მისცეს საკვების წაღების (ე.წ. „take-away”) შეკვეთა და დააგენერიროს შეკვეთის უნიკალური ნომერი, მიუთითოს ფილიალში მისვლის დრო, აპლიკაციაზე მიბმული პლასტიკური ბარათით გადაიხადოს შეკვეთის საფასური (ან მიუთითოს ნაღდი ანგარიშსწორების შესახებ და თანხა გადაიხადოს შეკვეთის აღებისას), დათქმულ დროს ავტომანქანით მიადგეს “ბიბი ბისტროს” შესაბამისი ფილიალის ავტო-ფანჯარას, ავტომანქანიდან გადმოუსვლელად (სპეციალური ფანჯრის მეშვეობით) მიიღოს საკუთარი შეკვეთა უნიკალური ნომრის ჩვენების შემდგომ და შეფერხების გარეშე გააგრძელოს გზა. აპლიკაცია განსაკუთრებით პოპულარულია იმ მომხმარებლებში, რომლებსაც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების გამო თბილისში ავტომანქანით ხანგრძლივად (1 საათზე მეტი) უწევთ მგზავრობა. ხსენებული აპლიკაცია მათ საშუალებას აძლევს გზიდანვე შეუკვეთონ სასურველი საკვები და მიიღონ მზა შეკვეთა შეფერხების გარეშე.

სურს რა მომხმარებლებისთვის დამატებითი კომფორტის შექმნა, “ბიბი ბისტრომ” 2025 წლის იანვარში “ბისტრო ბორბლებზე” აპლიკაციას ასევე დაამატა ნავიგაციისა და შეტყობინებების ფუნქციები. შედეგად, ავტომანქანის მფლობელებს მოძრაობის დროსვე შეუძლიათ შესაბამისი შეკვეთის მიცემა “ბიბი ბისტროს” სასურველი ფილიალისთვის, ხოლო აპლიკაცია მათ უჩვენებს ფილიალამდე მისასვლელ ყველაზე ხელსაყრელ მარშუტსა და დროს. ამავდროულად, აპლიკაციის “ბიბი ბისტროსათვის” ხელმისაწვდომი ინტერფეისი კომპანიას ანიშნებს მასთან მიმავალი კლიენტების სიახლოვესა და შეკვეთის მომზადებისთვის საჭირო დროს. ამრიგად, ხდება შეკვეთების დროულად მომზადება და კლიენტები ახერხებენ “ცხელ-ცხელი” შეკვეთების წაღებას კომპანიიდან. მსგავსი სახისა და ხარისხის მომსხურება ჯერ-ჯერობით საქართველოს მასშტაბით არც ერთ კომპანიას არ აქვს.

“ბისტრო ბორბლებზე” აპლიკაციის ერთადერთი მინუსი ისაა, რომ მის მომხმარებელს უწევს მობილური ტელეფონის გამოყენება მანქანის ტარების პროცესში - შეკვეთის მისაცემად, ნავიგაციის სისტემაზე დასაკვირვებლად და ა.შ. შედეგად, აპლიკაციის გამოყენების ხარისხი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება, თუ მოხდება მისი “ავტო-კალეიდოსკოპში” ჩართვა. “ბიბი ბისტრო” სწორედ ამას სთხოვს სს “დიჯითალ ევოლუშენს”.

სს „დიჯითალ ევოლუშენმა“ „ბიბი ბისტროს“ მოთხოვნის განხილვას მისთვის უჩვეულოდ დიდი დრო - 4 თვე მოანდომა (სტანდარტულად, მსგავს მოთხოვნებზე პირველადი პასუხი მათი მიღებიდან 2 თვის ვადაში გაიცემა ხოლმა). საბოლოოდ, მიმდინარ წლის აგვისტოში, კომპანიამ უარი თქვა „ბისტრო ბორბლებზე“ აპლიკაციის „ავტო-კალეიდოსკოპის“ სისტემაში დაშვებაზე რამდენიმე მიზეზით:

რასაკმარისი მომგებიანობა ბიზნესის კუთხით. სს „დიჯითალ ევოლუშენმა“ ჩათვალა, რომ „ბისტრო ბორბლებზე“ აპლიკაციისთვის სპეციფიკური ბუნების „საცეცის“ შექმნა

განსაკუთრებულად შრომატევადი იქნებოდა ამ აპლიკაციის სპეციფიკურობიდან გამომდინარე. შედეგად, კომპანიას არ უღირდა მსგავსი რესურსის ჩადება ისეთი „საცეცის“ შექმნაში, რომელსაც დიდი ალბათობით სხვა აპლიკაციები დიდი ხნის განმავლობაში არ/ვერ გამოიყენებდნენ; „ბიბი ბისტროსთან“ მოლაპარაკებები არ წარმოებულა იმასთან დაკავშირებით, ხომ არ ისურვებდა ეს უკანასკნელი „საცეცის“ შემუშავების ხარჯების დაფარვას - სს „დიჯითალ ევოლუშენმა“ უბრალოდ მიიჩნია, რომ მისი კრეატიული რესურსის სხვა მიმართულებით გამოყენება უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა;

ავტო-კალეიდოსკოპის“ სისტემისთვის უსაფრთხოების რისკების არსებობა. სს „დიჯითალ ევოლუშენმა“ მიუთითა, რომ ის სრულყოფილად ვერ უზრუნველყოფდა „ბისტრო ბორბლებზე“ აპლიკაციაში არსებული ელექტრონული გადახდის სისტემის უსაფრთხოდ ჩაინტეგრირებას „ავტო-კალეიდოსკოპის“ სისტემაში - ხსენებული გამოიწვევდა ან გადახდის სისტემის ფუნქციონირების ხარვეზებს, ან მოწყვლადს გახდიდა „ავტო-კალეიდოსკოპის“ სისტემას ჰაკერებისთვის (მათ შორის, მომხმარებელთა პირადი და ფინანსური მონაცემების გაჟონვის კუთხით); „ბიბი ბისტროსთან“ დამატებითი მოლაპარაკებები არ გამართულა იმის გასარკვევად, შეძლებდა თუ არა კომპანია საკუთარი გადახდის სისტემის უსაფრთხოების უფრო მაღალი დონის უზრუნველყოფას;

ომხმარებელთა/საგზაო უსაფრთხოება. სს „დიჯითალ ევოლუშენმა“ ასევე აღნიშნა, რომ „ბისტრო ბორბლებზე“ აპლიკაციაში საკვების არჩევის ფუნქცია, ვიზუალიდან გამომდინარე, მოითხოვს მომხმარებლის ყურადღების გადატანას ეკრანზე - „ავტო-კალეიდოსკოპში“ ამ ფუნქციის ჩატვირთვამ შესაძლოა მძღოლებს გზიდან მანქანის ციფერბლატზე ზედმეტად გადაატანინოს ყურადღება და გაზარდოს საავარიო შემთხვევების რისკი.

„ბისტრო ბორბლებზე“ აპლიკაციასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესის წარმოების პარალელურად, მიმდინარე წლის მაისის თვიდან, სს „დიჯითალ ევოლუშენმა“ დაიწყო საკუთარი ნავიგაციის სისტემისთვის დამატებითი ფუნქციების დამატება. ხსენებული ფუნქციების მეშვეობით, ავტომანქანის მფლობელებს საშუალება ეძლევათ, მოიძიონ მათთან ახლოს მდებარე კვების ობიექტები, საიდანაც მანქანიდან გადაუსვლელად შეიძლება წინასწარ მიცემული შეკვეთის წამოღება. ნავიგაციის სისტემა უთითებს კვების ობიექტამდე მისასვლელ საუკეთესო მარშუტსა და დროს. ამ ეტაპზე, კომპანია მოლაპარაკებას აწარმოებს თბილისში მდებარე სწრაფი კვების ობიექტების რამდენიმე მსხვილ ქსელთან, რათა უზრუნველყოს მათი ჩართვა „ავტო-კალეიდოსკოპში“, რომ მომხმარებლებს ავტომობილის საინფორმაციო-გასართობი სისტემების მეშვეობით შეეძლოთ ხსენებული ობიექტებისთვის შეკვეთების მიცემა. მოლაპარაკებების დასრულება მიმდინარე წლის ბოლომდე იგეგმება, რის შემდგომაც „ავტო-კალეიდოსკოპის“ ნავიგაციის სისტემას დაემატება დამატებითი ფუნქციები თბილისის მასშტაბით არსებული სწრაფი კვების ობიექტებში ავტომანქანიდან საკვების წინასწარ შეკვეთის ფუნქციონალებით.

ამ ეტაპზე, სს „დიჯითალ ევოლუშენი“ გეგმავს, რომ ზემოთ აღწერილი სისტემა ნაღდი ანგარიშსწორების საფუძველზე იმუშავებს. თუმცა, მიმდინარე წლის სექტემბერში მან უკვე გამოაცხადა კონკურსი კომპანიებისთვის, „ავტო-კალეიდოსკოპში“ ონლაინ გადახდების უსაფრთხო სისტემების დამატებაზე მუშაობისთვის. კონკურსის პირობების შესაბამისად, ხსენებული სამუშაოს დასრულების ვადად განსაზღვრულია 18 თვე, ხოლო მომდევნო 6 თვე განსაზღვრულია სატესტო რეჟიმად, შესაბამისი გადახდის სისტემების „ავტო-კალეიდოსკოპში“ ფუნქციონირებაზე დაკვირვების კუთხით.

ხსენებული კონკურსის შესახებ „ბიბი ბისტროს“ წარმომადგენლება საკუთარი ტექნიკური გუნდისგან შეიტყვეს, რომლებიც „ბისტრო ბორბლებზე“ აპლიკაციისთვის „კალეიდოსკოპის“ სისტემაში დამატების დროს ანალოგიური გადახდის სისტემის შემუშავებით იყვნენ დაკავებულნი. კომპანიის წარმომადგენლები შიშობენ, რომ მათი აპლიკაციის „ავტო-კალეიდოსკოპში“ დამატებაზე უარის თქმის პარალელურად, სს „დიჯითალ ევოლუშენი“ ცდილობს, იმგვარად განავითაროს საკუთარი სისტემები, რომ ჩაანაცვლოს „ბიბი ბისტროს“ მიერ კლიენტებისთვის შეთავაზებული უნიკალური მომსახურება. თუ მსგავსი სიახლე ბაზარზე დაინერგა, „ბისტრო ბორბლებზე“ აპლიკაცია სერიოზულ დარტყმას მიიღებს - მისი კლიენტებისთვის გაცილებით უფრო მიმზიდველი იქნება ავტომანქანის საინფორმაციო-გასართობი ციფერბლატის მეშვეობით შეთავაზებული „კალეიდოსკოპის“ გამრავალფუნქციონირებული სანავიგაციო აპლიკაცია, ვიდრე მათ მიერ შეთავაზებული მომსახურება (რომელიც მხოლოდ „ბიბი ბისტროს“ ფილიალებს მოიცავს).

ამ ეტაპზე, ხსენებული რისკი პრაქტიკაში არ გახორციელებულა - უფრო მეტიც, მიმდინარე წლის მესამე კვარტალში „ბისტრო ბორბლებზე“ აპლიკაციას მომხმარებელთა რაოდენობა კიდევ 5%-ით გაეზარდა. მიუხედავად ამისა, კომპანია შიშობს, რომ სს „დიჯითალ ევოლუშენის“ მიერ დაგეგმილი სიახლეები გრძელვადიან პერსპექტივაში მათ ბაზრიდან გაძევებას გამოიწვევს.

ზემოხსენებული სიტუაციიდან გამომდინარე, მიმდინარე წლის 15 სექტემბერს, „ბიბი ბისტრომ“ თბილისის საქალაქო სასამართლოში სარჩელი შეიტანა სს „დიჯითალ ევოლუშენის“ წინააღმდეგ, სადაც ის დავობს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის დარღვევას (ე.ი. მოპასუხე მხარის მიერ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას). მოსარჩელის საბოლოო მიზანია მოპასუხე სასამართლო წესით დაავალდებულოს, რომ ამ უკანასკნელმა უზრუნველყოს „ავტო-კალეიდოსკოპის“ სისტემაში მათი აპლიკაციის ინტეგრაციის უზრუნველყოფა სამართლიანი პირობებით.

საქმის სირთულიდან გამომდინარე, თბილისის საქალაქო სასამართლოში გადაწყდა, რომ მასზე იმუშავებს სამი მოსამართლისგან შემდგარი კოლეგია. განმწესრიგებელი სხდომა ჩატარდა 2025 წლის 15 ოქტომბერს. სხდომის ფარგლებში აღინიშნა, რომ მოცემული საქმე თავისი შინაარსით უნიკალურია და წარმოადგენს სამოქალაქო წესით კონკურენციის სამართლებრივი დავის ერთ-ერთი იშვიათ შემთხვევას. ქართული პრაქტიკის სიმწირიდან გამომდინარე, სასამართლოს სურს, მხარეებმა საკუთარი არგუმენტები დაასაბუთონ საუკეთესო საერთაშისო პრაქტიკის საფუძველზე. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმების საფუძველზე, საქართველოში კონკურენციის სამართლის ადმინისტრაციული წესით აღსრულებისას ინტენსიურად გამოიყენება ევროკავშირის კონკურენციის სამართლებრივი პრაქტიკა. შესაბამისად, ის მხარეებს ავალებს, საკუთარი არგუმენტები გაამყარონ ხსენებული პრაქტიკით - კერძოდ, ევროკავშირის კონკურენციის სამართალთან დაკავშირებული კანონმდებლობითა და სარეკომენდაციო დოკუმენტებით, ევროკომისიისა და ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებებით.

განმწესრიგებელ სხდომაზე ასევე გადაწყდა, რომ მხარეთა პირველი ზეპირი მოსმენა გაიმართება 2025 წლის 20-21 დეკემბერს. პირველი ზეპირი მოსმენის ფარგლებში, მსჯელობა შეეხება მხოლოდ კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის (ანუ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების) საკითხს. ხსენებული დარღვევის თეორიულად დადასტურების შემთხვევაში, შემდგომი სხდომების ფარგლებში განიხილება მოპასუხისთვის დასაკისრებელი ვალდებულებების საკითხი, „ავტო-კალეიდოსკოპის“ სისტემაში „ბისტრო ბორბლებზე“ აპლიკაციის დაშვებასთან დაკავშირებით.
შესაბამისად, 20-21 დეკემბრის სხდომაზე, სასამართლო მხარეებისგან მოისმენს არგუმენტებს შემდეგი სამი საკითხის შესახებ:

1. მოცემულ საქმეზე, როგორ უნდა განისაზღვროს შესაბამისი ბაზარი (ან ბაზრები)?

2. დგინდება თუ არა სს „დიჯითალ ევოლუშენის“ დომინანტობა (რომელიმე) შესაბამის ბაზარზე (ბაზრებზე)?

3. თუ დადგინდა, რომ სს „დიჯითალ ევოლუშენი“ დომინანტია, ამ უკანასკნელის რა ქმედება შეიძლება მიიჩნეს დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად და რატომ?

3.1. აღწერილი ქმედება რა ელემენტებისგან უნდა შედგებოდეს, რომ სასამართლომ დარღვევა დაადგინოს?

3.2. არსებობს თუ არა რაიმე გამამართლებელი გარემოებები, რის გამოც სს „დიჯითალ ევოლუშენის“ ქმედებები შეიძლება დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად არ ჩაითვალოს?

3.3. თუ სს „დიჯითალ ევოლუშენი“ საკუთარი ქმედებით დომინანტურ მდგომარეობას ბოროტად იყენებს, რა უნდა შეცვალოს მან საკუთარ საქციელში, რომ მისი ქმედებები აღარ ჩაითვალოს დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად?